საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 11 თებერვალი, 2026 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/23

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-9 და 44-ე მუხლების, 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტების, ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 23 მაისის №05-01/01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის“ პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წერილისა (№57, 17.10.2025; რეგისტრაციის №512, 17.10.2025) და სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის (№46, 06.02.2026; რეგისტრაციის №62, 09.02.2026) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში 2026 წლის 01 აპრილიდან დანართი №1-ით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

2. კონკურსი ჩატარდეს ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 23 მაისის №05-01/01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის“ და წინამდებარე დადგენილების შესაბამისად.

3. კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) საბუთების მიღება იწარმოებს 2026 წლის 12 მარტიდან 19 მარტის ჩათვლით, გარდა შაბათ-კვირისა, 10:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე, საპროცედურო კომისიაში - ქ. ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32, პირველი სართული, ოთახი №103 (მატერიალური სახით წარმოდგენამდე კონკურსანტებმა საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - batukonkursi@batu.edu.ge);

ბ) კონკურსი ჩატარდეს 2026 წლის 23 მარტს;

გ) კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.basu.edu.ge არაუგვიანეს 2026 წლის 25 მარტისა;

დ) კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს 2026 წლის 01 აპრილიდან.

4. კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. პირი, რომელსაც სურს დაიკავოს უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობა, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია გაეცნოს ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 28 მარტის №05-01/05 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესს“ და დაეთანხმოს/არ დაეთანხმოს მხოლოდ ბხსუ-სთან აფილირებას და დაადასტუროს ინფორმაცია იმის შესახებ, გააჩნია თუ არა ძალაში მყოფი ანალოგიური ხასიათის დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება ან სხვ.) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

6. აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მიღებისას, თანაბარი მონაცემების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭებათ იმ კონკურსანტებს, რომლებიც გამოხატავენ წინასწარ წერილობით თანხმობას აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში ბხსუ-სთან აფილირებაზე.

7. დამტკიცებულ იქნეს კონკურსანტის განცხადების (დანართი №2), ანკეტის (დანართი №3), საჩივრის (დანართი №4), განცხადებისა და საჩივრის მიღების შესახებ ცნობების (დანართი №5, დანართი №6), კონკურსის მონაწილეთა და საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალების (დანართი №7, დანართი №8) ფორმები და კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების ტექსტი (დანართი №9).

8. ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების შესახებ (დანართი №9) გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და ბხსუ-ს საინფორმაციო დაფაზე.

9. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, ს.ზუბალაშვილის ქ. №30).

10. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ალაფიშვილი**